

რა დღესასწაულია ოცობა?

ოცობა — ასეთი სახელწოდებითაა ცნობილი თუშეთში ხალხური დღესასწაული, რომელიც ღმრთისმშობლის ხარების დღესასწაულს, 25 მარტს ემთხვევა.

ხარება — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული დღესასწაული, ეკლესიაში საზეიმო ჟამისწირვით, გალობითა და ღმრთივსულიერ წიგნთა კითხვით აღინიშნება. თუშეთში კი, ეთნოგრაფიული დაკვირვებების მიხედვით, ეს დღე, „ოცობად“ სახელდებული, საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებასთან ყოფილა დაკავშირებული.

როგორც ფიქრობენ, ხალხური წარმოდგენით, ოცობა „ბედობის დღეც“ უნდა ყოფილიყო: „მთელი წლის იღბალი ან უიღბლობა ამ დღეზე იყო დამოკიდებული... იგი ზამთრიდან ზაფხულისაკენ შემობრუნების დღედ ითვლებოდა, და ნებისმიერ ამინდში, სიმბოლურად მაინც, უნდა გაეყვანათ ხარი მინდორში. გაყვანის წინ ავი თვალისა და ავი სულებისაგან უნდა დაეცვათ. ხარებობის მეორე დღიდან იწყებოდა საზაფხულო სამუშაოები“.¹

ამრიგად, ოცობის დღე საგაზაფხულო სამუშაოების — ხვნა-თესვის რიტუალური დასაწყისი ყოფილა. როგორც პროფ. სერგი მაკალათია მოგვითხრობს, ეს რიტუალი ითვალისწინებდა გუთნით სამი კვალის (ორნატის) გავლებასა და თითო მუჭა ქერისა და პურის დათესვას, რასაც მოჰყვებოდა ხვნა-თესვასთან დაკავშირებული სხვა რიტუალური წესები: კარგი მოსავლის მისაღებად დაილოცებოდნენ ჯვრიანი ლავაშის შემოტარებით უღელზე („უღელდების“ წესი), ამ პურს ორივე ხარს შეაჭმევდნენ, კუდებზე „უნძრახის თურსას“ შეაბამდნენ წითელი ძაფით, და ა. შ. თუშები იცავდნენ ხვნა-თესვის რიტუალთან დაკავშირებულ სხვადასხვა მაგიურ აკრძალვასაც.²

1 ნ. აბაკელია, ქ. ალავერდამვილი, ნ. ღამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1991, 85.

2 „დადგება თუ არა გაზაფხულის პირი, თუშები ხვნა-თესვის თადარიგს შეუდგებიან და ამისათვის 25 მარტს „ოცობას“ ასრულებენ. ამ დღეს გლეხი კარის ყანაზე სამ კვალს გაავლებს და ერთ მუჭა ქერსა და პურს დათესავს. სანამ ეს ჯეჯილი არ ამოვა, მანამ ოჯახში არავინ წნელს არ მოგრებს, რომ ჯეჯილი დაგრეხილი არ ამოვიდეს. ამ დღიდან ოჯახიდან ცეცხლი და „სულადი“ (ქერი და პური) არ

აკად. აკ. შანიძე „ოცობას“ განმარტავს, როგორც „ხარებას“ (25 მარტი), და დასძენს: „იმ დღეს გუთანს პირველად გაატარებენ მამულში სამჯერ და ერთ მუჭა თესლს გადაჰყრიან.“³ ასეთსავე განმარტებას იძლევა პ. ხუბუტია,⁴ ალ. ჭინჭარაულს კი, რომელიც „ოცობას“ ხევსურეთშიც ადასტურებს, ეს ტერმინი „აკვსების“ (აღდგომის) სინონიმად მიუჩნევია.⁵

რას ნიშნავს დღესასწაულის სახელი „ოცობა“ და რა კავშირშია იგი ან ხარებასთან, ან საზაფხულო სამუშაოების დაწყებასთან?

არსებობს მოსაზრება, რომ ხარების დღესასწაულმა ასეთი სახელი მიიღო მისი კალენდარული მდებარეობის (სახელდობრ, გიორგობიდან 20 კვირით დაცილების) გამო. გიორგობას (10 ნოემბერს) საქონელი ბაგაზე დგებოდა და ოცი კვირის შემდეგ, სარებობას, ხდებოდა მათი გამოშვება.⁶

ამრიგად, ასეთი ახსნის მიხედვით, ტერმინი ოცობა — საქონლის ბაგაზე დგომის ოცი კვირის შესრულების ხაზგასმა ყოფილა; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბაგაზე დგომის ოც კვირას რატომღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რაღაც დიდ ნიშან-სვეტად მიიჩნეოდა და სადღესასწაულო რიტუალებით აღინიშნებოდა მთიელთა ყოფა-ცხოვრებაში.

ვფიქრობთ, ასეთი მოსაზრება რამდენიმე დაბრკოლებას აწყდება: გაუგებარია, რატომ უნდა დაეყენებინათ საქონელი ბაგაზე მაინცდამაინც გიორგობის დღეს, და მაინცდამაინც ოც კვირას დაეტოვებინათ იქ, რათა ხარებობას მისი დაბმის „ოცობა“ ედღესასწაულათ.

გარდა ამისა, ხარება, როგორც ბრწყინვალე საეკლესიო დღესასწაული — უქმეა, და ოც კვირას საქონლის ბაგაზე დაბმა, იმისათვის,

გაცივმა, სანამ ხვნა-თესვას არ მორჩებიან. ხარებასაც კულზე „უნძრახის თურსას“ წითელი ძაფით შეაბამენ. ამ დღეს დედაკაცები თავს დაივარცხნიან, ყანა „დაიწმინდებოთ“ ბაშტედან ძროხებს პირველად გამოიყვანენ, კუდის ბოლოებს ცოტათი შეაჭრიან და დანაზე გადაატარებენ, კლდიდან არ გადავარდესო. ჩქარა დაიწყება ხვნა-თესვა. მაგრამ სანამ ყანაში გავლენ, ასრულებენ „უღელდებას“: აცხობენ ჯვრიან ლავაშს და სამყურა ხმიადს. აანთებენ სანთელს და არაყსაც ჩამოსახამენ. მამაკაცი ამ ჯვრიან პურს სამჯერ უღელზე შემოატარებს, კარგ მოსავალზე დაილოცება, უღელზე გატეხს და ორივე ხარს შეაჭმევს. უღელდების პურის გამომცხობი დედაკაცი სხვის ოჯახში ვერ შევა, პურის ბარაქა გაჰყვებაო, არც მამაკაცი სხვისას წავიდოდა, კვალი უნდა შეენახა, რომ კვალი სხვის ოჯახში არ შესულიყო. თესვას რომ მორჩებიან, ყანაში მაღალ ჯოხს ჩაარჭობენ და მას თავს გრძლად გადმოუხრიან, რომ ასეთი თავთავიანი პური ამოვიდესო“ (ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1983, 195).

3 აკ. შანიძე, თხზულებანი, I, 1984, 379.

4 „ოცობა — გუთნის პირველად შებმის დღე“ (პ. ხუბუტია, თუშური კილო, ლექსიკა, თბ., 1969, გვ. 130).

5 ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, 237.

6 ნ. აბაკელია და სხვ., დასახ. კალენდარი, გვ. 85.

რათა მაინცდამაინც ამ საუქმო დღეს გამოეყვანათ მინდორში სამუშაოდ, — ლოგიკური არ არის: თუკი „ოცობა“ მხოლოდ სამეურნეო შინაარსის მქონე დღეობაა, რატომ უკავშირდება იგი ქრისტიანულ გიორგობასა და ხარებას? ხოლო თუ ქრისტიანული დღესასწაულია (ანდა რაიმე ანგარიშს მაინც უწევს ქრისტიანობას), რატომ უგულვებელყოფს ხარებობის უქმობას?

დაბოლოს, გიორგობიდან ხარებამდე (10 ნოემბრიდან 25 მარტამდე) ოცი კვირა არ ითვლება; მცხრალ წელს ეს პერიოდი 135 დღიანია (ე. ი. 19 კვირა და 2 დღე), ნაკიან წელს კი — 136 დღიანი (19 კვირა და 3 დღე). მეოცე კვირად მითვლილი 2 დღე (თუნდაც 3) ნახევარ კვირასაც ვერ შეადგენს და სრულ მეოცე კვირად მისი ჩათვლა ხელოვნურია.

შესაძლოა, „ოცობის“ ამხსნელნი შემოგვედაონ; მართალია, მეოცე კვირა სრული არაა, მაგრამ რადგან დღეთა საერთო რიცხვი ცხრამეტე კვირას აჭარბებს, 19-ს გადამეტებული დღეები პირობითად მეოცე კვირად შეგვიძლია მივათვალოთ წინა ცხრამეტესო.

ამაზე ჩვენ შეგვიძლია, მივუგოთ ასე:

ქრისტიანულ კალენდარში კვირების (შვიდეულების) აღრიცხვა უძველესი დროიდანაა ცნობილი. საზოგადოდ, საეკლესიო კალენდარი მიღებულია უძრავი და მოძრავი საწელიწადო ციკლების ზედღებობით. ამასთან, მოძრავი კალენდარი (დღესასწაულების ზუსტი აღრიცხვა შვიდეულებისა და კვირიაკეების მიხედვით, აღდგომის დღესთან მიმართებით) თავდაპირველად უფრო დატვირთული იყო დღესასწაულებითა და მოსახსენებლებით, ვიდრე უძრავი კალენდარი (დღესასწაულების აღნიშვნა გარკვეულ თვესა და რიცხვებში), და, თუმცა დროთა განმავლობაში მოძრავი კალენდრის ზოგიერთი მოსახსენებელი უძრავ თვესა და რიცხვზე დამაგრდა, ამით მოძრავი კალენდრის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა საეკლესიო ქრონოლოგიაში — ოდნავადაც არ დაკნინებულა. საგულისხმოა, რომ დღესაც, რიგით საკითხავებად (სამოციქულო-სახარებისა) მიჩნეულია მოძრავი ციკლის დღეთა საკითხავები. უძრავი ციკლის საკითხავებს უპირატესობა ეძლევა მხოლოდ უძრავ საუფლო დღესასწაულებსა და დიდ წმიდათა მოსახსენებლებზე, და ისიც — ყოველთვის არა.⁷

მოძრავ კალენდარში კვირიაკეებისა და შვიდეულების აღრიცხვა მკაცრადაა მოწესრიგებული; მაგალითად, დიდი მარხვის წინამავალი (ე.წ. „მოსამზადებელი“) შვიდეულები — სამია: მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკიდან დაწყებული ყველიერის აღებამდე. დიდ მარხვაში, რომელსაც „წმიდა ორმოციც“ ეწოდება, ზუსტად ორმოცი დღე ითვ-

7 მაგალითად, თუ წმიდის მოსახსენებელი კვირიაკეს დაემთხვა, საკითხავ-საგალობლებში უპირატესობა კვირიაკეს (ე. ი. მოძრავ კალენდარს) ეძლევა.

ლება (ყველიერის აღების მეორე დღიდან, ორშაბათიდან დაწყებული, ბზობის წინა პარასკევის ჩათვლით), რასაც მოსდევს ვნების შვიდეული. ზუსტადაა განსაზღვრული ზატიკის პერიოდიც: აღდგომის შემდეგ შვიდი კვირის თავზე მეერგასის ანუ სულიწმიდის გარდამოსლვის (მარტვილის) დღესასწაულია. ტერმინი მეერგასე (რაც ორმოცდამეათეს ნიშნავს) დღესასწაულის ზუსტ კალენდარულ ადგილმდებარეობას გვიჩვენებს — აღდგომიდან ზუსტად ორმოცდაათი დღით დაცილებას. უძველეს ლიტურგიკულ ძეგლებში დაფიქსირებულია აგრეთვე „მარტვილითგან მეშვიდე კვირაე“ — ათენაგენობა.⁸ იქაც, როგორც ვხედავთ, შვიდეულების ზუსტი რაოდენობაა განსაზღვრული.

ისმის კითხვა: თუ საეკლესიო კალენდარში საზოგადოდ დაკანონებული იყო ზუსტი აღრიცხვა შვიდეულებისა, და, როდესაც ამბობდნენ „მეშვიდე კვირაე“-ს, ზუსტად შვიდკვირიან პერიოდს გულისხმობდნენ, და არა, ვთქვათ, ექვს კვირასა და ორ დღეს, მაშ რატომ უნდა დაშვებულიყო დაუდევარი ანგარიში შვიდეულებისა მხოლოდ გიორგობიდან ხარებამდე პერიოდისათვის?

გარდა ამისა, როდესაც მოძრავი კალენდრის ესა თუ ის დღესასწაული გარკვეულ ადგილს იკავებდა სხვა დღესასწაულების მიმართ, გათვალისწინებული იყო მათი ჰეორტოლოგიური კავშირი. მაგალითად, სულიწმიდის მოფენის, ანუ მარტვილის დღესასწაული დაწესდა აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, „საქმე მოციქულთას“ მონაცემების საფუძველზე (საქმე 2,1). ხარების (25 მარტი), წინადაცვეთისა (1 იანვარი) და მიქუმის ანუ მიგებების (2 თებერვალი) დღეები გამოთვლილ იქნა ქრისტეს შობის (25 დეკემბრის) მიხედვით, მათი ბუნებრივი კავშირის გამო. მართლაც, ხარება ქალწულის მიდგომილებისა უნდა მომხდარიყო ქრისტეს შობამდე ზუსტად ცხრა თვით ადრე, წინადაცვეთა — შობიდან მერვე დღეს (ლუკა 2,21), მიგებება კი — მეორმოცე დღეს, როდესაც „აღესრულნეს დღენი იგი განწმედისა მათისანი“ (ლუკა 2,22).⁹ ცხადია, როდესაც ვანგარიშობთ ორ რომელიმე დღესასწაულს შორის მანძილს (როგორც შვიდეულების, ისე დღეების რაოდენობას), ხაზს ვუსვამთ ამ დღესასწაულთა ნათესაობას. არავის მოუვა აზრად, მაგალითად, თქვას — ღმრთისმშობლის მიძინების დღესასწაულიდან მის შობამდე — ოთხი კვირააო, თუმცა, ნამდვილად, 8 სექტემბერს 15 აგვისტოდან ზუსტად ოთხი კვირა აშორებს. ასევე, არავინ იტყვის — ჯვრის ამაღლებიდან (14 სექტემბერი) სვეტიცხოვლობამდე (1 ოქტომბერი) — ორი კვირა და სამი დღეაო, თუმცა ესეც სრული

8 უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურთანმა, 1980, 255.

9 კ. კეკელიძე, კიმენი, ტ. II, 1946, 64-71.

სიმართლე იქნება. ისტორიულ-ჰეორტოლოგიურად და კალენდარულად ამ დღეებს ერთმანეთთან არაფერი აკავშირებს, და ამიტომაც, რომ მათ შორის ინტერველებს არავინ ითვლის. სულ სხვა მდგომარეობაა ბზობისა და აღდგომის, აღდგომისა და მარტვილიის, აღდგომისა და ამაღლების, შობისა და მიქუმის, შობისა და წინადაცვეთის, აგრეთვე სხვა მრავალი დღესასწაულის კალენდარულ ურთიერთმიმართებაში. ისტორიულად ისინი ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, და მათი კალენდარული ურთიერთმიმართება ამ ისტორიულ კავშირს ასახავს. წმ. გიორგის ურმის თვალზე წამების დღესასწაულსა და ხარებობას კი ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ, ამიტომაც, მათ შორის მიხლოებითი მანძილის დამოწმება ტერმინ „ოცობის“ ასახსნელად – ისეთივე არალოგიკურია, როგორც ღმრთისმშობლის მიძინებისა და შობის დღესასწაულთა ურთიერთდაშორებისათვის (4 შვიდეულისათვის) რაიმე მნიშვნელობის მიცემა.

მით უფრო, რომ გიორგობიდან ხარებამდე ოცი კი არა, ცხრამეტი კვირა და ორი დღე ითვლება!

შვიდეულების ზუსტ აღრიცხვას შეჩვეული კალენდრისათვის ცხრამეტი კვირა და ორი დღე საკმარისი არგუმენტი ვერ იქნებოდა საიმისოდ, რომ ხარების ბრწყინვალე დღესასწაულის აღსანიშნავად ყურით მოთრეული ტერმინი – „ოცობა“ დაემკვიდრებინა. ეს მიუღებელი იქნებოდა იმის გამო, რომ:

1) ღმრთისმშობლის ხარება უფრო აღმატებული დღესასწაულია (როგორც ათორმეტ დღესასწაულთაგანი), ვიდრე ნებისმიერი წმიდის მოსახსენებელი დღე; ამიტომაც არ შეიძლებოდა, ხარებას სახელი შერქმეოდა უფრო დაბალი პატივის დღესასწაულიდან – გიორგობიდან მისი დაცილებების მანძილის მიხედვით.¹⁰

2) არ შეიძლებოდა იმის გამოც, რომ გიორგობასა და ხარებას შორის არავითარი ისტორიულ-ჰეორტოლოგიური კავშირი არ არსებობს.

3) დაბოლოს, „ოცობა“ არ შეიძლებოდა შერქმეოდა ხარებას კალენდარული უზუსტობის გამო, რამდენადაც ხსენებულ დღესასწაულთა შორის ოცი კვირა ვერ იკრიბება.

10 სხვა დღესასწაულთა მიხედვით სახელი ეძლევა უფრო დაბალი პატივის მქონე დღეებს; ასეთია, მაგალითად, კვირიაკეები, გარკვეული ნომრით, შემდგომად მეერგასისა; თვით მეერგასიც, მართალია, დიდი საუფლო დღესასწაულია, მაგრამ პატივით დღესასწაულთა-დღესასწაულის – აღდგომის შემდეგ მოიხსენიება და ამიტომაც ეწოდა სახელი მის მიხედვით – მეერგასე ანუ ორმეოცდამეათე.

ერთ-ერთი ამათგანიც კი საკმარისი იყო იმისათვის, რომ ხარე-ბობას „ოცობა“ არ შერქმეოდა (გიორგობიდან დაშორების მანძილის მიხედვით).

ამრიგად, ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი „ოცობის“, როგორც ჰეორტოლოგიური ტერმინის, წარმოშობის შესახებ (რაც მხოლოდ მთხრობელთა გადმოცემას ემყარება) — სრულიად დაუსაბუთებელია და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს; რიცხვ „ოცს“ ხარების დღესასწაულთან საერთო არაფერი აქვს, და, მაშასადამე, საძიებელია „ოცობის“ სხვაგვარი ეტიმოლოგია.

შიეძლება ვივარაუდოთ, რომ „ოცობა“ შესაძლოა, რომელიღაც ძველი ტერმინის დამახინჯებული (სახეცვლილი) ფორმა იყოს.

ჰეორტოლოგიური ტერმინების სახეცვლილებებისა და დამახინჯების მაგალითების დასახელება უხვად შეგვიძლია. მაგალითისათვის კი, ალბათ, რამდენიმე მათგანიც იკმარებს:

1. წმ. გიორგის ურმის თვალზე წამების მოსახსენებელი დღის სახელწოდება (6 ნოემბერი) — „არმატონობა“ (ბერძნ. ἄρμα ἄρματος — ურემი) ქართულმა საეკლესიო ღმრთისმსახურებამ უძველეს დროში შეითვისა და დღემდეა მოღწეული, ოღონდ ცოტა შეცვლილი ფორმით: „არმათიონობა“ (სოფ. ზემო მარხაანის „არმათიონის წმინდა გიორგის“ ეკლესიის დღესასწაული).¹¹

2. წმ. ევსტათი პლაკიდას მოსახსენებელი დღე — „ესტატ-წმიდობა“ — დროთა განმავლობაში შეიცვალა „ერთაწმინდობად“ (წმ. ევსტათის ტაძრისაგან მიიღო სახელი შიდა ქართლის სოფელმა ერთაწმინდამ).¹²

3. როგორც ცნობილია, სულიწმიდის მოფენის დღესასწაულს უძველეს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში „მარტვლია“ ეწოდება. ეს ტერმინი წარმომდგარა ბერძნული სიტყვიდან — *μαρτυρία*, რაც დამოწმებას (დადასტურებას) ნიშნავს.¹³ ბერძნულ საღმრთისმსახურო პრაქტიკას ეს ტერმინი მალე განუდევნია ხმარებიდან, და ბერძნული ენის ისეთი ღრმა მცოდნეც კი, როგორც ეფრემ მცირე (XI ს.) იყო, ქართულ „მარტვლიასა“ და ბერძნულ *μαρτυρία*-ს შორის იგივეობას

11 ე. კოჭლამაზაშვილი, საქართველოს ტოპონიმიაში შემორჩენილი ერთი ბერძნული წარმომავლობის სახელის განმარტებისათვის (არმათიონი): ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, 1989 წ., № 3, გვ. 80-83.

12 ეს დაკვირვება ეკუთვნის აკ. შანიძეს. იხ მისი სტატია: „ერთაწმინდა“ (კასპის რაიონის გაზეთი „განთიადი“ 1972 წ., 26 თებერვალი). სტატია ციტირებულია წიგნში: კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, აკაკი შანიძე — ცხოვრება და მოღვაწეობა: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა (თბილისი 1987) 303. იხ. აგრეთვე: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები (თბილისი 1973) 139.

13 ე. კოჭლამაზაშვილი, მარტვლიის დღესასწაულისათვის: ჯვარი ვაზისა №2 (თბილისი 1992) 47-54; მისივე: სულთმოფენობა თუ სამებობა? ჯვარი ვაზისა №2 (თბილისი 1991) 14-29.

ვერ ხედავდა. „შეისწავე, – წერდა იგი სამოციქულოს თარგმანების სქოლიოში, – რამეთუ ბერძელ მეერგასედ უკმობენ სულისა წმიდისა მოსლვასა, ხოლო თუ მარტვლიად რომლითა ენითა არს, არა ვიცი“ (იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ქართული ხელნაწერი № 9, ფ. 39).

ჩვენს დროში იყო ცდა – „მარტვლია“ დაეკავშირებინათ მოწამეთა ხსენების დღეებთან (რადგან „მარტვრია“; გარდა „დამოწმებისა“; „მოწამეობასაც“ ნიშნავს), მაგრამ ასეთი დაკავშირება სრულიად არა-ბუნებრივი რომ არის, ხაზს უსვამს ეფრემ მცირის ზემოაღნიშნული კომენტარიც; იმდენად დაცილებული იყო ერთმანეთისაგან სულიწმიდის დღესასწაული და მოწამეთა მოსახსენებელი (როგორც შინაარსობრივად, ისე კალენდარულად), რომ მათ შორის ტოლობის ნიშნის დასმა დიდ ქართველ სწავლულ ღმრთისმეტყველს აზრადაც არ მოსვლია. ამ მხრივ გარკვეული როლი შეასრულა იმანაც, რომ ბერძნული *μαρτυρία* (მარტვრია) ქართულს შეთვისებული ჰქონდა მისთვის ბუნებრივი (მცირედ სახეცვლილი) ფორმით – „მარტვლია“ (ფონეტიკური დისიმილაციის შედეგად).

სიტყვას აღარ გავაგრძელებ; ლიტურგიკული ტერმინი შეიძლება ისე შეიცვალოს თუნდაც ერთი ბგერის შეცვლით, რომ მისი წარმოშობის გარკვევას სპეციალური კვლევა-ძიება დასჭირდეს.

თუ დავუშვებთ, რომ ასეთი ტერმინია „ოცობაც“; ლოგიკური იქნება, მისი ახსნა ძველი ქართული ლექსიკის გათვალისწინებით ვცადოთ.

საკუთრივ „ოცობას“ ძველ ქართულ ტექსტებში ვერსად ვხვდებით, მაგრამ მასთან ძალზე ახლოსაა „ოცება“ ზმნა, რომელიც ძველი ქართული ენის ლექსიკონებში განმარტებულია რამდენიმე მნიშვნელობით: „განცვრება“, „შეკრთომა“, „ჩუენება“, „მოჩვენება“,¹⁴ „საოცრება, მოჩვენებასავით“¹⁵ ვნახოთ, რამდენად ლოგიკურია „ოცობის“ პირველსახედ მისი მიჩნევა.

„ოცების“ პარალელურად, ზუსტად იმავე მნიშვნელობებით, ხანდახან გვხვდება სიტყვა „ოცნება“. აშკარაა, ესენი ერთი და იმავე სიტყვის ვარიანტული ფორმებია, თავდაპირველად „ოცება“ უნდა ყოფილიყო, „ოცნება“ კი მასში 'ნ' ბგერის განვითარებითაა მიღებული.

„ოცნების“ განსამარტავად ლექსიკოგრაფებს ზოგჯერ ისეთი შესატყვისები მოჰყავთ, რომლებიც, ერთი შეხედვით, „ოცების“ განსამარტავ სიტყვათაგან განსხვავდება, მაგრამ, არსებითად, ერთი და იგივე შინაარსი აქვთ მათ. თუმცა, გვაქვს ისეთი შემთხვევებიც,

14 ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, 336.

15 თეიმურაზ ბაგრატიონი, წიგნი ლექსიკონნი, გ. შარაძის გამოცემა, 1979, 102.

როდესაც ამ ორ სიტყვაში რამდენადმე განსხვავებულ შინაარსს გულისხმობენ.¹⁶

„ოცნების“ სულხან-საბასეული განმარტება ნემესიოს ემესელის თხზულებას ემყარება.¹⁷

სხვა ლექსიკოგრაფები „ოცნებას“ შემდეგნაირად განმარტავენ:

„სიჩქურე, ზმანება მღვდარისგან, ვითა ფანტაზია (ვიოცნებებ, მეოცნების), მეზმანების, ჰაზრად წარმომიდგების, არა ნამდვლად, არამედ საგონებლად.“¹⁸

„ოცნება — სიზმარი, ჩვენება, მოჩვენება; ეოცნებოდა — ერვენებოდა.“¹⁹

„ოცნება (ეოცნა) — წარმოსახვა, ფანტაზიორობა, *φανταζα*.“²⁰

ამრიგად, „ოცებისა“ და „ოცნების“ გაგებას ბევრი რამ აქვთ საერთო. მათი მნიშვნელობებიდან ჩვენთვის საინტერესოა „ჩვენება“, „მოჩვენება“, „ზმანება მღვდარისაგან“. ამგვარი მნიშვნელობების ნათელსაყოფად აქვე მოგვყავს რამდენიმე ფრაზა ძველი ქართული მწერლობის სხვადასხვა ძეგლიდან.

ჯერ ვნახოთ ისეთი ტექსტები, სადაც გვაქვს „ოცება“ ფორმა:

„გეოცებოდენ საშინელებად იგი სამსჯავროდსა.“²¹

„არცა ძილისა ოცებად შეგაშინებს შენ.“²²

„სულტანი... ძრწოდა შიშისაგან მისისა, და არცალა თვთ ძუელად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა ჰგონებდა თვსად ქონებად, არამედ რაოდენცა შორს იყო, ეგრეცა ეოცებოდა მძინარესა შიში, და მღვდარესა — სიკუდილი.“²³

16 ნემესიოს ემესელის ანთროპოლოგიური თხზულების („ბუნებისათვის კაცისა“) თარგმანში იოანე პეტრიწი ამ სიტყვებს მიჯნავს შემდეგნაირად: „ოცნებითი უკუე ძალი არს ძალი უტყუსა სულისა, საგრძნობელთა მიერ მემოქმედე; ოცნებითი უკუე — რომელსა ოცნება შთაუფარდების, ვითარ რაჲ გრძნობად და მგრძნობელი“ (ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, ს. გორგაძის გამოცემა, 1914, 72). „ოცებას“ ბერძნულში შეესაბამება „ფანტასმა“ (*φαντασμα* — მოჩვენება, გამოცხადება), „ოცნებას“ კი — „ფანტასია“ (*φαντασία* — წარმოდგენა, წარმოსახვა, ფანტაზია).

17 სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, I, 1965, 613.

18 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, აღ. ლლონტის რედაქციით, თბ., 1961, 325.

19 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, I, თბ., 1946, 452.

20 ე. ჭელიძე, წმიდა გრიგოლ ნოსელი და მისი თხზულება „პასუნი ექუსთა მათ დღეთათვის“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1989, 355.

21 A1105, 83r (ციტირება ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან“).

22 იქვე, 276v.

23 ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისა: ქართლის ცხოვრება, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, I, თბ., 1955, 346.

„საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების...
რა მიჰლუნის, სიახლევე საყვარლისა ეოცების.“²⁴

„რომე დავყავ წელიწადი, თვე თორმეტი გამეოცა,
მაგრა მისი მნახავიცა სიზმრივ კაცი არ მეოცა.“²⁵

ახლა ვნახოთ რამდენიმე მაგალითი იმისა, რომ „ოცნებაც“ იმავე შინაარსით იხმარება, რომლითაც „ოცება“:

„ყოვლით-კერძო ოქროსა ოდენ ხედავ, ოქროდ გეოცნების.“²⁶

„ოთხკედელნი გოდოლნი მრგულად ეოცნებიან.“²⁷

„...ხოლო ეშმაკი... უჩუენებნ მას საშინელთა ოცნებათა, რამეთუ ოდესმე ვითარცა სიმრავლე მკეცთად ზედა-მოვალნ, და ოდესმე ზღუ-
ად რეცა დანთქამნ.“²⁸

„...ხოლო მას არარად შეერაცხა, არცა სუროდა ხილვად მათი და ზრახვად, არამედ იგი სასურველსა თუსსა იგონებდა, მას განიცდიდა გონებითა და იგი ეოცნებოდა.“²⁹

ამრიგად, „ოცება“ (თავის ვარიანტულ ფორმასთან, „ოცნებასთან“ ერთად) შეიძლებოდა მიჩნეულიყო „ჩვენების“, „ანგელოზის გამოცხადების“ აღმნიშვნელადაც.

ლუკას სახარებაში აღწერილია გაბრიელ მთავარანგელოზის გამოცხადება („ჩუენებად“) ჯერ ნათლისმცემლის მამის, შემდეგ კი უბიწო ქალწულის წინაშე. სახარების თანახმად, ზაქარიას „ეჩუენა“ ანგელოზი (ლუკა 1,11), „ჩუენებად რადმე იხილა“ (ლუკა 1, 22); და თუმცა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ჩვენება სხვა სიტყვებითაა გამოხატული [„გაბრიელ ანგელოზი მოივლინა ღმრთისა მიერ“ (ლუკა 1,26), „შევიდა ანგელოზი იგი მისა“ (ლუკა 1,28)], მაინც ამ ორ მოვლენას შორის მსგავსება თვალსაჩინოა.

მაშასადამე, უბიწო ქალწულთან გაბრიელ მთავარანგელოზის მოვლინება შეიძლებოდა შეფასებულიყო, როგორც „ჩვენება“, „ხილვა“, „გამოცხადება“, ანუ, ძველი ტერმინოლოგიით — ოცება; ღმრთისმშობელს ეოცა (ეჩვენა, გამოეცხადა) უფლის ანგელოზი და ახარა მის მიერ განხორციელება ღმრთის სიტყვისა.

ჰეორტოლოგიურ ტერმინად ხელსაყრელი იყო როგორც „ოცების“, ისე „ხარების“ შემოღება. პირველ მათგანში მოვლენის გარეგნული სახეა აქცენტირებული, მეორეში — მისი სულიერი შინაარსი.

24 ვეფხისტყაოსანი, „თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად“.

25 იქვე, „ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის დაკარგვისა“.

26 ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა ც. ქურციკიძემ, თბ., 1983, 91.

27 ბასილი დიდი, ექუსთა დღეთათვის, თბ., 1947, 76.

28 „ცხორებად თეოდორაძის“: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია I, 309.

29 „მარტვლობად რაჟდენ პირველმოწამისად“, იქვე, გვ. 244.

რამდენად სარწმუნოა ისტორიულობა ხარების დღესასწაულის მეორე სახელით – ოცებით მოხსენიებისა?

საღმრთო ისტორიის ერთისა და იმავე მოვლენის აღნიშვნა სხვადასხვა ჰეორტოლოგიური ტერმინით – არცთუ იშვიათი მოვლენაა. მაგალითად, მდინარე იორდანეზე მაცხოვრისა და იოვანე ნათლისმცემლის შეხვედრა იმთავითვე აღინიშნა ტერმინებით: „ბაპტისმა“ (*βάπτισμα* – წყლში ჩაყოფა, ჩაყვინთვა) და „ფოტისმა“ (*φώτισμα* – განათლება, ნათლით შემოსვა, ნათლისღება). პირველი მათგანი მოვლენის ხილულ მხარეს ასახავს, მეორე – სულიერს. ასევე, მკვდრეთით აღდგომა ქრისტესი – იწოდება „პასექად“ და „აღვსებად“; სულიწმიდის მოფენა ქრისტეს მოციქულებზე – „მარტვლიად“ და „მეერგასედ“; მაცხოვრის ტაძრად მიყვანება – „მიგებებად“ და „მიქუმად“ და ა. შ.

ღმრთისმშობლის წინაშე გაბრიელ მთავარანგელოზის გამოცხადების აღსანიშნავ ჰეორტოლოგიურ ტერმინად ლიტურგიკულ ძეგლებში ყველგან გვხვდება „ხარება“ (ბერძნ. *εὐαγγελισμός*)³⁰. „ოცება“ და მისი ბერძნული შესატყვისი (*ὀπτασία*) ჯერჯერობით არსად შეგვხვდებოდა. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ თუშეთსა და ხევსურეთში შემორჩენილ ხალხურ საეკლესიო ტრადიციას, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში „ხარებასთან“ ერთად ეს ტერმინიც ყოფილა გავრცელებული ადრექრისტიანულ ხანაში. თუ ეს ასეა, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ოცების“ შესატყვისი *ὀπτασία* თავდაპირველად ბერძნულ ღმრთისმსახურებაშიც იხმარებოდა, *εὐαγγελισμός*-ის პარალელურ ჰეორტოლოგიურ ტერმინად³¹, შემდეგ კი დავიწყებას მისცემია.

დროთა განმავლობაში, როგორც ჩანს, ქართული ტერმინი „ოცებაც“ გამოუდევნია „ხარებას“ ლიტურგიკული ლიტერატურიდან,³¹ და იგი, როგორც ხალხური ჰეორტოლოგიური ტერმინი, შემორჩა მხოლოდ ისეთ რეგიონებში, სადაც განსაკუთრებით ძლიერი იყო ძველი საეკლესიო ტრადიციებისადმი პატივისცემა.³² ამასთან, ტერმინის შინაარსის დავიწყებამ და სახეცვლილებამ („ოცების“ „ოცობად“ შეცვლამ) წარმოშვა საჭიროება მისი ახსნისა, ეტიმოლოგიზაციისა.

30 *ὀπτασία* ჰეორტოლოგიურ ტერმინად შეიძლებადა შემოსულიყო სახარების მიხედვით (ლუკა 1,22).

31 ეს მოვლენა, როგორც ვთქვით, ჯერ ბერძნულ სამყაროში უნდა მომხდარიყო, და, მის კვალდაკვალ, ქართულ საეკლესიო ცხოვრებაშიც ასახულა. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, ბერძნულად „ოცების“ შესატყვისი უნდა ყოფილიყო *ὀπτασία* (ლუკა 1,22).

32 როგორც ცნობილია, საქართველოს მთამ დღევანდლამდე შემოინახა ადრინდელი ქრისტიანობის ისეთი ლიტურგიკული ტრადიციები, რომელთაგან ზოგი მხოლოდ უძველეს წერილობით ლიტურგიკულ ძეგლებშია დაფიქსირებული (მაგალითად, ათენგენობა, ლამპრობა და სხვ.), ზოგიც – უკვალოდაა გამქრალი საეკლესიო პრაქტიკიდან.

მართალია, „ოცობის“ დაკავშირება „ოც კვირასთან“ (გიორგობიდან ხარებამდე) ხელოვნურია და ალოგიკური, მაგრამ ამით, როგორც ჩანს, ერთგვარად დაკმაყოფილდა მთიელთა ინტერესი თავიანთი დღესასწაულის არსის ცოდნისადმი.

რაც შეეხება ხარის მონაწილეობას საღვთსაწაულო რიტუალში, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის, და ესეც ხარების დღესასწაულს უნდა უკავშირდებოდეს. დაკავშირება კი, შესაძლოა, მოხდა არა მარტო ამ სიტყვების შემთხვევითი მსგავსების გამო („ხარი“ და „ხარება“), არამედ სახარების იმ თავის მისათითებლადაც, რომელშიც აღწერილია ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხარება.³³

33 ღმრთისმშობლის ხარება, როგორც უკვე ვთქვით, აღწერილია ლუკას სახარებაში. ხარი (კურო) მიჩნეულია სწორედ ლუკა მახარებლის სიმბოლურ სახედ (იოვანეს გამოცხადება 4,7). სხვა მახარებლებს კი მოასწავებენ: ლომი (მარკოზი), კაცი (მათე) და არწივი (იოვანე ღმრთისმეტყველი).